

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ სოციალური დაცვის განყოფილების მიერ, 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტით, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებისთვის გახარჯულია-457.000 ლარი, აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით მომართა 1992 მოქალაქემ, დაკმაყოფილდა 1570 მოქალაქის განცხადება შემდეგი პროგრამების მიხედვით:

ა. სამედიცინო მომსახურების პროგრამიდან - დახმარება გაეწია 1230 მოქალაქეს, მათ შორის სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობა დაუფინანსდა 31 მოქალაქეს, ხოლო მკურნალობისა და მედიკამენტების შეძენისათვის ფინანსური დახმარება გაეწია 1199 მოქალაქეს.

პროგრამით გახარჯული თანხა შეადგენს _ 188.000 ლარს.

ბ. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამიდან - ერთჯერადი მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით (საშემე მერქნის შესაძენად) გაეწია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ 34 ოჯახს (105 წევრით).

სულ გახარჯულია - 6800 ლარი

გ. მრავალშვილიანი ოჯახთა დახმარების პროგრამიდან - დახმარება გაეწია 136 მრავალშვილიან (ოთხი და მეტი 18 წლამდე) ოჯახს. აქედან 82 მრავალშვილიან ოჯახს რომელთა სოციალური დახმარების ბაზაში სარეიტინგო ქულა შეადგენს 57001 დან 150000-მდე, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით, ხოლო 46 მრავალშვილიან ოჯახს, რომელთა სოციალური დახმარების ბაზაში სარეიტინგო ქულა შეადგენს 57001 - მდე წელიწადში 3 -ჯერ 100 ლარის ოდენობით.

სულ გახარჯულია 119 200 ლარი

დ. სტიქიური მოვლენების შედეგად და მძიმე საცხოვრებელ პირობებსში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამიდან - დახმარება გაეწია 11 ოჯახს, აქედან 2 ოჯახს ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი და გაეწიათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება თითოეულისათვის 500 ლარის ოდენობით და 9 უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს ერიცხებათ ყოველთვიურად საცხოვრებელი ბინის ქირა.- 13 900 ლარი.

სულ ამ მუხლით გახარჯულია 42 900 ლარი.

ე. ვეტერანთა დახმარების პროგრამიდან - დახმარება გაეწია ა) 9 მაისს მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 24 ვეტერანს- ერთჯერადი მატერიალური დახმარება თითოეულზე 200 ლარის ოდენობით, ბ) 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ თეიმურაზ ჭიტაძის ოჯახს გაეწია ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 500 ლარის ოდენობით, გ) 27 სექტემბერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულ მებრძოლების (სამაჩაბლო-აფხაზეთის ომი) ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 20 ოჯახს თითოეულზე - 200 ლარის ოდენობით.

ხოლო ვეტერანთა დახმარების პროგრამიდან, სარიტუალო დახმარება გაეწია 7 ვეტერანის ოჯახს თითოეულზე -250 ლარის ოდენობით.

სულ გახარჯულია 11 700 ლარი.

ვ. თირკმლის უკმარისობით დავადებულ პირთა დახმარების პროგრამიდან - რომელიც ითვალისწინებს თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარებას წლის განმავლობაში ორჯერ, II კვარტალში დახმარება გაეწია - 23 მოქალაქეს, ხოლო IV კვარტალში 26 მოქალაქეს, თითოეულზე 250 ლარის ოდენობით მათი ტრანსპორტირებისა და სხვადასხვა მედიკამენტების შესაძენად

სულ გახარჯულია -11 500 ლარი.

ზ. ხანდაზმულთა დახმარების პროგრამიდან - რომლის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 100 წლის და 100 წელს ზემოთ მყოფი მოქალაქეების დახმარება, მიმდინარე წელს აღნიშნული პროგრამიდან დახმარება გაეწია 4 მოქალაქეს თითოეულს 300 ლარის ოდენობით.

სულ გახარჯულია -1200 ლარი.

თ. უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამიდან - რომლის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უსინათლო ინვალიდის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით - გაეწია 60 მოქალაქეს.

სულ გახარჯულია 11800 ლარი.

ი. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამიდან - რომლის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 2 ბავშვს - 300 ლარის ოდენობით.

პროგრამით გახარჯული -- 600 ლარი.

კ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარების პროგრამიდან - ყოველთიურ დახმარებას უწევთ გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაციასთან არსებულ დღის ცენტრს, სადაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები 18 და მეტი წლის შშმ 8 ბენეფიციარია გაერთიანებული - ერთ ბენეფიციარზე თვეში 252 ლარისა.

ხოლო ზაფხულის სეზონზე კურორტ ურეკში შშმ პირთათვის სარეაბილიტაციო კურსის გასავლელად და ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად გაიხარჯა 6 000 ლარი

სულ გახარჯულია 30 000 ლარი.

ლ. „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ადმინისტრაციაში მყოფ „ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ ქვეპროგრამა - რომელიც ითვალისწინებს ა(ა)იპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ადმინისტრირებაში მყოფი „ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მაცხოვრებელთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, მათთვის კომუნალური გადასახადების გადახდით უზრუნველყოფას.

სულ გახარჯულია 4 600 ლარი.

მ. სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება-გათვალისწინებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე ბავშვების თანადაფინანსება, რომლებიც სარგებლობენ ა.(ა).ი.პ. „მომავლის სხივის“ დღის ცენტრის მომსახურებით რეგისტრირებულია 11 ბენეფიციარი - ერთ ბენეფიციარზე თვეში 150 ლარი.

სულ გახარჯულია 19 900 ლარი

ხოლო 529 შეჭირვებულ ოჯახებს, რომლებმაც განცხადებით მომართეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას სამედიცინო მომსახურების, ოპერაციული მკურნალობისა და ძვირადღირებული მედიკამენტების შესაძენად და ვერ აკმაყოფილებდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ სოციალური პროგრამებიდან გაცემის პირობებს, დახმარება გაეწიათ გამგებლის სარეზერვო ფონდიდან.

2) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების განყოფილების სამოქმედო ტერიტორია მოიცავს 34 სკოლამდელ დაწესებულებას, 1495 აღსაზრდელითა და 428 თანამშრომლით.

2015 წლის ზაფხულში 15 საბავშვო დაწესებულებას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, მიმდინარე წელს სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში 8 საბავშვო ბაღში გარემონტდა და მოწესრიგდა სამზარეულო და სველი წერტილები. კაპიტალურად

გარემონტდა დაბა ნასაკირალის საბავშვო ბაღი, ხოლო მიმდინარე წელს კი დაიწყო 3 საბავშვო ბაღის (ჭანიეთი, ბახვის და ბაღდადი) კაპიტალური მშენებლობა.

2015 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით თითქმის ყველა საბავშვო ბაღისათვის შეძენილი იქნა 45 ათასი ლარის ახალი ინვენტარი, სათამაშოები, სამზარეულოს ჭურჭელი, სხვადასხვა სახის ელექტროტექნიკა და სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამები. გასულ წლებთან შედარებით მიმდინარე სასწავლო წელს 25%-ით გაიზარდა 1 აღსაზრდელზე გათვალისწინებული კვების ხარჯები, მენიუს დამატა 4 ახალი სახეობის პროდუქტი, აღსაზრდელებისათვის შეტანილი იქნა ქარხნული სასმელი წყალი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯანსაღ და მრავალფეროვან კვებას, ბავშვებს მიეწოდებათ ბალანსირებული საკვები. კვების პროდუქტების შენახვისას დაცულია უსაფრთხოება, მოწმდება ბაღში მიტანამდე პროდუქტების ვარგისიანობა სერტიფიკატის დადასტურებით, დაცულია შენახვისა და გაცემის ყველა სანიტარული ნორმები, ყველა სკოლამდელ დაწესებულებას ჩაუტარდა სადეზინფექციო სამუშაოები, განათლების განყოფილებამ ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრთან ერთად განახორციელეს საბავშვო ბაღების მონიტორინგი, მიეცათ მითითებები და რეკომენდაციები. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით მიმდინარე წელს შესაბამისი ტრენინგი და გადამზადება ჩაუტარა საბავშვო ბაღის 30 აღმზრდელს, 34 მზარეულს 34 მუსიკის პედაგოგს, რომლებთანაც გადაეცათ სერტიფიკატები. სასწავლო სააღმზრდელო და შემეცნებითი ღონისძიებები ჩატარდა ყველა ბაღში. აქტივობებს იყენებენ მიზნობრივად და ეფექტურად. აღნიშნეს ბავშვთა დღე ასფალტზე ხატვით და საზეიმო დილით. მოეწყო შემოდგომის ზეიმი, მოგზაურობა საზღაპრეთში, საახალწლო კარნავალი და სხვა.

ასევე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბახვისა და სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლის ორი მოსწავლემ, ნატო ბაჯელიძემ და სალომე მიქატაძემ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოიპოვეს 100%-იანი სახელმწიფო გრანტი, ჩაირიცხნენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დაჯილდოვდნენ 3000 (სამიათასი) ლარის ოდენობით,

აგრეთვე, საჯარო სკოლები, რომლებშიც სწავლობდა აღნიშნული მოსწავლეები გადაეცათ 1000 (ათასი) ლარი, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლის კაპიტალური ხარჯებისათვის.

3) რაც შეეხება ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებას, წარმოგიდგინებ მათ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს:

1) იანვარი -მაისურებისა და კეპების დამზადება,ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ლოგოთი. ზონალური ინტელექტ-კლუბების შექმნა,თამაშების "რა?სად? როდის?" კაპიტნების და ლიდერების მოძიება. ჯგუფების შექმნა მუნიციპალიტეტის 22 სოფელში,თამაშის დაგეგმვა 5 ეტაპად, რომლის ფინალი გაიმართა დეკემბერში,გამოვლინდა 4 საუკეთესო გუნდი, რომელთაც გადაეცათ დიპლომები, პრიზები და საჩუქრები.

2) 3 მარტი-ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდა მრავალშვილიანი დედებისთვის, ღონისძიების გამართვა და ფასიანი საჩუქრების გადაცემა.

3) მარტი- სოფელ დვაბზუში გაცნობითი ხასიათის ინტელექტ-თამაში დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის, ჩატარება სამახსოვროდ პრიზებისა და დიპლომების გადაცემა.

4) 1-ივნისს - ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიება - ახალგაზრდულ სტუდენტური გაერთიანების უცხოელ მოხალისეებთან ერთად მხიარული თამაშების მოწყობა.

5) ივნისი - მზადება პროექტისთვის რომელიც გაგრძელდა ოქტომბრის ბოლომდე „ჩემი სოფლის ისტორია“, მოძიებულ იქნა მუნიციპალიტეტის სოფლებში კურატორები, რომლებმაც ჩაატარა სოფლის ტურისტული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული კვლევა, გადაგზავნილ იქნა დებულება „რომელშიც მითითებული იყო პროექტის ფორმატები:ვიდეო ფილმების კონკურსი,კონფერენცია „კედლის ფოტო გამოფენა, სხვადასხვა ნომინაციებში გამოვლინდა საუკეთესო ისტორიები, რომლებიც დაჯილდოვდნენ საჩუქრებით და პრიზებით.

6) 1 ოქტომბერი-ხანდაზმულთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება -დაბა ურეკის საჯარო სკოლის მოსწავლეების ჩართულობით, ანასეულის მოხუცთა თავსესაფარში სტუმრობა,კონცერტის გამართვა და ტკბილეულის გადაცემა.

7) ოქტომბერი-მედია პროექტ ეტალონის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე ქალაქ თბილისში გამგზავრების ორგანიზება და ფილარმონიაში ღონისძიებაზე დასწრება - (50 სკოლის მოსწავლე)

8) ოქტომბერი -.პროკურატურის ეგიდით საკალათბურთო ჩემპიონატის ორგანიზება მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო სკოლებს შორის.

9) ოქტომბერი -მუნიციპალიტეტში მცხოვრებ საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა და ახალგაზრდული კლუბების ჩამოყალიბება.

10) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან სტუმრობა,საახალწლო საჩუქრების გადაცემა.გამართულ კონცერტში მონაწილეობის მიღება.

11) დეკემბერი-საგამანათლებლო მედია პროექტ ეტალონის ჩემპიონატის ღონისძიების უზრუნველყოფა,დაბა ურეკის კულტურის სახლში.

12) "მან-სან-კანი"ს საგაზაფხულო ჩემპიონატში გამარჯვებული ახალგაზრდების ექსკურსია იმერეთში.

ასევე მთელი წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამეთა სამინისტროს მიერ დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში(მინიფეხბურთი ,გრეხეთბურთი,ქვიშის ფრენბურთი,ბერძნულ რომაული ჭიდაობა) აქტიური ჩართულობა, დასუფთავების აქციებში მონაწილეობის მიღება, მჭიდრო თანამშრომლობა როგორც არასამთავრობო ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებთან ახალგაზრდობის კუთხით დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

სამსახურის უფროსი:

მაიზერ ცელაძე